საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1456

13/10/2021

ქ. თბილისი

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-834 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 14 სექტემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორმა და ითხოვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-834 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების გაუქმება.

შპს „ჯი ემ თი გრუპის“ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) 2012 წლის 27 თებერვალს გაცემულია №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 30 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-462 ბრძანება „შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-834 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უახლოეს მომავალში არ იგეგმება წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს სკრინინგის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წიდის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-834 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯი თი ემ გრუპს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი